ცნობის ფურცელი

№ 1876 ოთხშაბათი, 24 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1876

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვაქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ახახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეებს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმ. ლაევის სახლი.

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშო და თვალის.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ ზედგენიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ა. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 274. (წლ.)

ლექსები

განდეგილისა

ავტორის სურათით,

ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—5)

საყურადღებო წინადადება

ქვევით მკითხველი იპოვის ექიმის კ. ლ. ტურიაშვილის წერილს, რომელიც საყურადღებოა არა მარტო ექიმებისათვის.

ბ. ტურიაშვილი იწვევს ქართველ ექიმთ შეერთდნენ და შეადგინონ საურთიერთო დახმარებისა, სამეცნიერო და საპროფესსიო საზოგადოება...

ყველამ იცის, რა ძალააასეთ შეერთებაში: ის, რაც არ ძალუძს ერთ კაცს, ადვილია საზოგადოებისათვის. ამ პრინციპს ადგილი აქვს არა მარტო ეკონომიურ საქმეებში, არამედ სამეცნიეროშიაც. ამიტომაა, რომ განათლებული ქვეყნები მოფენილია ათასგვარ სამეცნიერო საზოგადოებებით, საპროფესსიო კავშირებით და სხვა. ამგვარ შეერთებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საზოგადო საქმეს: გააადვილა სამეცნიერო გამოკვლევა და მეცნიერების გავრცელება, გაამხნევა მოღვაწენი, გაუადვილა მათ ბრძოლა ცხოვრების ცუდ პირობებთანაცა და უმეცრებასთანაც... ეს ყველამ იცის; მაგრამ, შეიძლება, იმ გარემოებას არავინ ჩაჰფიქრებია, რომ ასეთ საზოგადოებათა და კავშირთ ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ; ჩვენებური პირობები ისეთნი არიან, რომ აუცილებელ საჭიროებად ხდიან საერთო შეთანხმებულ მოქმედებას.

მართლაც, აიღეთ თუნდ ექიმთა სამოღვაწეო ასპარეზი, რომელზედაც დღეს ბ. ტურიაშვილ გვითითებს. ვინ ჩამოსთვლის რამდენი რამა აქვს გასაკეთებელი ჩვენში ჩვენებურს ექიმს? რა დიდი ასპარეზი იშლება მის წინ? აქ მარტო პრაქტიკული მუშაობა—საექიმო დახმარების აღმოჩენა—როდია საკმარისი; აქ თეორეტიული მუშაობაც საჭიროა...

რუსეთში და სხვაგან სახალხო მედიცინას და ძველს საექიმო მეცნიერება-ოსტატობას იკვლევენ და იძიებენ მეცნიერნი და სამეცნიერო დაწესებულება-სასწავლებელნი; ჩვენში-კი ეს მნიშვნელოვანი მხარე საექიმო მეცნიერებისა უყურადღებოდ არის მიტოვებული: ვის სცალია ან თითოეულ ექიმს ცალკე როგორ შეუძლია რაიმე სამეცნიერო გამოკვლევას შეუდგეს, ამ მხრით ნაციონალური სიმდიდრე გამოიძიოს?! შემდეგ, როგორც, იცით ჩვენს დროში დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროებაც არის, საზოგადოებასა და ხალხში გავრცელდეს საექიმო ცოდნა. ამ საქმესაც რუსეთსა და სხვაგან ემსახურებიან სამეცნიერო დაწესებულება—საზოგადოებანი; ჩვენში-კი ეს საქმეც თითქმის უყურადღებოდ არის მიტოვებული; ვამბობთ „თითქმის“ იმიტომ რომ არა სისტემატიურსა და შემთხვევითს მუშაობას ამ საქმეში კავკასიის საექიმო საზოგადოებისას თვალსაჩინო მნიშვნელობა არა აქვს და ხალხისთვის სარგებლობა მეტის მეტად მცირე მოაქვს...

აიღეთ ახლა საექიმო დახმარების საქმეც. რუსეთის შიდა გუბერნიები ამ მხრითაც ჩვენზე უკეთეს პირობებში არიან. იქ საექიმო დახმარების საქმე მოწესრიგებული და გაჩაღებულია ერობის მიერ; ჩვენში-კი ამ მძიმე უღელსაც ადმინისტრაცია ეწევა; ამიტომაც რუსეთში მეტი საავადმყოფოებიც არის სოფლად, აფთიაქებიც, ფერშლებიც, ვიდრე ჩვენში. მიუხედავად ამისა, რუსეთშიაც ჩივიან, რომ ხალხი დაუხმარებლად არის მიტოვებული, ექიმები-კი ვერ იტანენ სოფლის პირობათ და ქალაქებში გარბიანო. თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში ასეა, წარმოიდგინეთ ჩვენში როგორ უნდა იყოს ეს საქმე დაყენებული?! ჩვენში, სიმართლე რომ ვთქვათ, საექიმო დახმარება სოფლად თითქმის არც-კი არსებობს. ჩვენს სოფელში ექიმისათვის დღეს ისეთი ძნელი პირობები არსებობენ, რომ იშვიათი მათგანი ჰბედავს დაბინავდეს და იმუშაოს იქ... სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენებურ ექიმთა საზოგადოება არსებობდეს. ასეთს საზოგადოებას შეეძლო ახალგაზდა ექიმებისათვის ზნეობრივი, მეცნიერული და ნივთიერი დახმარებაც აღმოეჩინა და ამ რიგად გაეადვილებინა მათთვის სოფლად ცხოვრება და მუშაობა...

არც-თუ მარტო სოფლად სჭირია ასეთი დახმარება ჩვენებურს ექ-მს. ტფილისშიაც, მაგალითად, ცუდათ გრძნობს თავს ჩვენებური ახალგაზდა ექიმი. აქ არა ქართველ ექიმთ მოუპოვებიათ ძალა და დაუჭერიათ ასპარეზი; ხოლო საზოგადოება რომ არსებობდეს, იგი ძალიან გაუადვილებდა ჩვენებურ ექიმებს საქმეს და ფეხს მოაკიდებინებდა ქალაქშიაც.

ზევითაც აღვნიშნეთ, რომ საზოგადოების დაარსება მარტო ექიმებისათვის-კი არ არის საჭირო. დიდათ სასარგებლო იქნება, მაგალითად, შეკავშირება ჩვენებურ იურისტებისათვისაც. როგორც საექიმო მეცნიერების მხრითაა შეუსწავლელი ჩვენი ქვეყანა, როგორც საექიმო დახმარება აკლია ჩვენს ხალხს, ისე იურიდიულადაა შეუსწავლელი საქართველო და ისეთივე დიდი იურიდიული დახმარება სჭირია ჩვენს ხალხს...

ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის განხილვას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ბ. ტურიაშვილის წინადადება და როგორის პროგრამით, უნდა იმუშაონ ამგვარ საზოგადოებებმა ჩვენში. ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ წინადადება საყურადღებოა და კარგი იქნება განხილულ იქმნას როგორც პრინციპიალურისა, ისე პრაქტიკულის მხრით.

* * *

საჭირო განმარტება

ოზურგეთის ქალაქის მოურავი დიდის რიხით აძლევს დღეს პასუხს ოზურგეთის ნოქრებს (იხ. ქვემოთ „წერ. რედაქციის მიმართ“) და ამტკიცებს—კანონი ნებას არ მაძლევს მათი თხოვნა აღვასრულოვო. ჩვენის აზრით, ბ. ცეცხლაძე მეტად კატეგორიულადა და უბრალოდ სწყვეტს საქმეს, რომელიც ყოველს შემთხვევაში ისე ცხადი არ არის, როგორც მას ჰგონია, და განმარტებას თხოულობს. გარდა ამისა, ბ. ცეცხლაძეს უფრო ნათლად უნდა ეჩვენებინა თავისი საბუთები, თორემ ყრუდ განკარგულების №-ის აღნიშვნა არასფერს არ ამტკიცებს და ვერავის დააჯერებს... აი ჩვენ, მაგალითად, გვგონია, რომ ოზურგეთის მოურავი სცდება და კანონს ტყუილა იხვევს ხელზე.

მართლაც, ვნახოთ რას გვეუბნება კანონი აღძრულ საკითხის შესახებ?

საქალაქო დებულების 108 მუხლში აღნიშნულია ქალაქის თვით-მართველობის მონაწილეობა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საქმეში. მე-11 პუნქტი ამ მუხლისა ამბობს: ქალაქის საბჭოებს ნება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი... „იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა გაიხსნას სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულება უქმე დღეებში და რა დროს უნდა დაიხუროს“ („О времени открытія и закрытія торговыхъ и промышленныхъ заведеній въ праздничные дни“). ამ მუხლს საქალაქო დებულებაში თან ახლავს ვრცელი განმარტება,*) რომლიდანაც სჩანს, რომ უმართ. სენატს არა ერთხელ აღუნიშნავს ქალაქის მმართველობათა უფლება კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის დროის განსაზღვრის შესახებ; უმართ. სენატი ნათლად ამბობს, რომ საბჭოებს ნება არა აქვთ **სრულიად მოსპონ** ვაჭრობა კვირა-უქმეებში, მხოლოდ სრული ნება აქვთ **შეამცირონ** რამდენადაც უნდათ ვაჭრობის საათები.

ამ უფლებით დღემდის სარგებლობენ საქალაქო მმართველობანი ყველგან რუსეთში და თითქმის ყველგან აქვთ გამოცემული ამის გამო სავალდებულო დადგენილებანი.

ეს არის საკითხის ფორმალური მხარე. მაგრამ არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბ. ცეცხლაძეს ტყუილად შეუწუხებია თავი და უძებნია განკარგულებანი, როდესაც წინ უდევს საზოგადო კანონები და საქალაქო დებულება. თუნდაც არ სცოდნოდა კანონები, მაინც ისე თვითნებურად არ უნდა მოქცეულიყო და ნოქრების თხოვნა უყურადღებოდ არ უნდა დაეგდო. მისთვის ცხადი იყო, რომ ნოქრები შევიწროებულნი არიან და რომ ზნეობრივი უფლება ჰქონდათ აღეძრათ თავისი თხოვნა. ქალაქის მოურავისა და ქალაქის მმართველობისვე ზნეობრივი ვალდებულება მოითხოვდა გამოეცათ ნათხოვნი სავალდებულო დადგენილება. ხოლო თუ საქალაქო მმართველობა ამით უკანონობას ჩაიდენდა, ადმინისტრაცია აღარ დაამტკიცებდა მის დადგენილებას. მორჩა და გათავდა. ოზურგეთის ქალაქის მოურავმა კი არ მოიწონა ნოქრების თხოვნა და ფორმალურ დაბრკოლებათ დაუწყო ძებნა, რითაც უფლება მისცა ნოქრებს ეჭვი აეღოთ მის საზოგადოებრივ მისწრაფებაზე.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. მკითხველებს მოეხსენება, რომ ლონდონში თავი მოიყარეს ინგლისის კოლონიების წარმომადგენლებმა, პირველ მინისტრებმა, რომელთაც ბჭობა აქვთ სხვა-და-სხვა მრავალ მნიშვნელოვან საგნების შესახებ. ინგლისის იმპერიალისტები მათ თავისი პოლიტიკის მომხრეებად სთვლიდნენ, ეგონათ ცენტრალიზაცია განმტკიცდებოდა, კავშირი კოლონიებსა და ინგლისს შორის უფრო მჭიდრო შეიქმნებოდა და ინგლისი ახალ უფლებებს შეიძენდა. მაგრამ იმპერიალისტები მოსტყუვდნენ: კოლონიების წარმომადგენელთა თვალში თვით-მმართველობის პრინციპი წმინდაა და მისი ხელის შეხება შეუძლებელი. ავსტრალიის ფედერაციის პირველ მინისტრს, ედმონდ ბარტონს უთქვამს ერთ ბანკეტზე: „უსაფუძვლო იქნებოდა ის ფიქრი, ვითომ ახლანდელ კონფერენციაზე სცდილობენ შეიმუშაონ რაიმე საზოგადო პლანი იმპერიის გაერთიანებისა. გაერთიანებული იმპერია უკვე არსებობს. თუ ახლო წარსულმა ეს ვერ დაგვიმტკიცა, მაშ საზოგადოდ შეუძლებელი ყოფილა ამის დამტკიცება. პოლიტიკური დამოკიდებულება კოლონიებსა და მეტროპოლიის შორის, მუშებისაგან საერთოდ თავის დაცვა,—ფრიად საყურადღებო გასარჩევია და შეიძლება ისეთი პროექტები შემუშავდეს, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ საერთო მოქმედებას. როდისმე ეს დრო დადგება, მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისელთა ტომის სიამაყეს შეადგენს თავისუფლება ბრიტანიის მოქალაქების საზღვრებში, და რომ იმპერიის ყოველ თვით-მმართველ კოლონიაში ეს გრძნობა ისეთივე ცოცხალია, როგორც აქ, ამ დარბაზში. ეს ნიშნავს შემდეგს: მას შემდეგ, რაც ინგლისმა კოლო-

---

*) იხ. „Городов. Полож.“ изд. Мыша, 4-е, стр. 237—238.

ნიებს თვით-მმართველობა მიანიჭა, კოლონიები ველარ იკისრებენ ისეთ ვალდებულებას, რომელიც ამ ავტონომიას ეწინააღმდეგება; **ამ ავტონომიის მტკიცედ დაცვა—აი კოლონიების სურვილი.** ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საიმპერიო იდეიას. მაგრამ თუ ჰსურთ, რომ იმპერიის ერთ საზოგადო ცენტრიდან გამოსცენ კანონები, რომელიც მას ზღუდავს თავის დაცვის და ვაჭრობის შესახებ, მაშინ ამ კანონების გამოცემა შეუძლია მხოლოდ ისეთ საიმპერიო პარლამენტს, რომელშიაც თავთავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მრავალგვარ შეხედულებას ჩვენი მსოფლიო იმპერიისას— ე. ი. ისეთ პარლამენტს, რომელიც დღეს მაინც ყოვლად შეუძლებელია. და თუ ასეთი დაწესებულება არ არსებობს, ვეღარც ისეთ ღონისძებას მივიღებთ, რომელიც დღევანდელ პირობებს ეწინააღმდეგება. ახლა ჩვენ ერთნი ვართ, თუ არ პოლიტიკურად, ფაქტიურად მაინც, და უნდა ვეცადოთ, რომ განვამტკიცოთ მეგობრული ურთი-ერთობა, თანხმად ისტორიის და დღევანდელ იმპერიის მოძრავ ძალთა; რის მოპოვება შეუძლებელია თუ არ საყოველთაო თანხმობით, უნდა გადავდოთ იმ დრომდე, ვიდრე გაჩნდება ახალი, დღეს შეუძლებელი პოლიტიკური ურთი-ერთობა. აი იმის მიზეზი, რომ ბჭობის შედეგი ასე მცირეა,— მცირეა იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ასე გვსურს, არამედ იმიტომ, რომ ასე უნდა იყოს, ჩვენი რასის თვისება, რომელსაც ჩვენ ყველანი ვეკუთვნით, ისეთია, რომ ჩვენ ვკმაყოფილდებით იმით, რაც დღევანდელ პირობებში შესაძლებელია, და ვტოვებთ უფრო სრულ საქმეებს შემდეგისთვის, უფრო მოხერხებულ დროსთვის".

საფრანგეთი. რეაქციონერებმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარეს კომბის ცირკულიარის წინააღმდეგ. ჯერ ფიქრობდნენ სამინისტროს დაშინებას და ამ აზრით გამართეს მიტინგები და გაახშირეს დემონსტრაციები. მერე ეცადნენ როგორმე რესპუბლიკის პრეზიდენტი საქმეში ჩარეულიყო და იწყეს ღია წერილების ბეჭდვა, სადაც ნამდვილი იეზუიტური გაიძვერობით შეზავებული იყო ვედრება და მუქარა, რესპუბლიკის ლაქუცი და მისი უარყოფა. მაგრამ ყოველი ხრიკი გაცუდდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მაგისტრატი, რომელიც მიუდგომლობის მაგალითით უნდა იყოს, რადგან იგი წარმომადგენელია მთელი საფრანგეთის და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა, ვერ გაჰრიეს ამ საქმეში. კაცები რომ ვერას გახდნენ, საქმეში ქალები ჩაერივნენ. 25 ივლისს (ახ. სტ.) რამდენიმე არისტოკრატი ქალი მივიდა ელისეს სასახლეში და ლუბეს მეუღლეს აუდიენცია სთხოვეს: სურდათ კონგრეგაციების შესახებ მოელაპარაკნათ. პრეზიდენტის მეუღლემ არ მიიღო და გენერალ დიუბუას პირით გადასცა, რომ მას უფლება არა აქვს რამე თხოვნის მიღებისა იმ კითხვების შესახებ, რომელნიც მთავრობის ხელთაა. მღვდლების და ბერების გულშემატკივარი ქალბატონები დაბრუნდნენ სასახლიდან და თან დაემუქრნენ, ყოველ ღონისძიებას ვიხმართ და ქუჩაშიაც კი გამოვალთ საბრძოლველადაო. იმავ საღამოს ღია წერილით მიმართეს პრეზიდენტის მეუღლეს, სადაც, სხვათა შორის, ამბობენ: „ქალბატონო, მართალია, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ჩვენი პროტესტი თქვენამდე მოსულიყო, მაგრამ ჩვენ გვრჩება უფლება ყოველ დღე და ყოველ საათს გამოვაცხადოთ ჩვენი უკმაყოფილება. დღეიდან ყველა ქალები, მდიდარი თუ ღარიბი, მჭიდროდ შეერთებულან თავისი სარწმუნოების დასაცავად და ჩვენ ყოველთვის წინ დავხვდებით მთავრობას, რომელიც ჰბედავს ხელი შეახოს ჩვენს შვილებს". ხელს აწერდნენ: ბარონესა რეილი, გრაფინია დე მენი, ქ-ნი დე-პიუ, სიბილი და სხ. ესენი ზოგი კონგრეგაციების დამცველი დეპუტატების ცოლები არიან, ზოგი კერძო პირებისა. სხვათა შორის, დე-მენს, დეპუტატს, კლერიკალების დამცველს წერილი მოუვიდა ცნობილი ბრუნეტიერისა, რომელიც თავის სრულ თანაგრძნობას და მომხრეობას უცხადებს. დე-მენმა და კლერიკალური პარტიის მოთავეებმა გადასწყვიტეს დიდი დემონსტრაციის გამართვა „თანხმობის მოედანზე" კვირა დღეს. იქიდან ელისეს სასახლეში უნდა წასულიყვნენ და ლუბესთვის გადაეცათ ადრესი. ნაციონალისტები ლუბეს აბრალებენ მონაზვნების განდევნას. ფრანსუა კოპპემ სიტყვა გადაკვრით გააგებინა თავმოყრილ ხალხს, რომ შეიძლება საქმე სისხლის ღვრამდე მივიდესო. „მით უკეთესი, მით უკეთესი"—შეჰყვირეს დამსწრე ქალებმა. მაგრამ კლერიკალების უბედურება ის არის, რომ „ძალა ვერ შესწევს ქადილსა". დიდი ხანია პარიზელ მუშებს ქუჩა თავისად მიაჩნიათ, არისტოკრატებს მათი სახლებიც ეყოფათო, ამბობენ ისინი, და მოსალოდნელი იყო, რომ არც ახლა დაუთმობდნენ უომრათ. მართლაც გამოჩნდნენ თუ არა პარიზის კედლებზე კლერიკალების აფიშები, რომელნიც კათოლიკებს და „შვილების პატრონ" დედებს იწვევდნენ დემონსტრაციაზე, სოციალისტებმა მაშინვე კედელზე გააკრეს თავისი აფიშა, რომელიც თავის მხრივ იწვევდა „კლერიკალების და ნაციონალისტების თავხედობის პასუხის გასაცემად". ერთ სოციალისტების „მოწოდებაში" ასე თავდება: „დაუსწრებლობა იქნება სიმხდალეზე ბევრით უფრო მძიმე დანაშაული; ეს იქნება ღალატი".

მართლაც, დანიშნულ ალაგს, სადაც ნაციონალისტებს უნდა თავი მოეყარათ, მათზე ადრე გაჩნდნენ მუშები და რესპუბლიკელი სტუდენტები. ოთხ საათზე მთელი მოედანი და მისი მიდამო ხალხით აივსო. მაგრამ ეს ხალხი უმეტესად სოციალისტ და თავისუფალ მოაზროვნეთაგან შესდგებოდა. ამიტომ მანიფესტაცია კლერიკალური კი არა, ანტი-კლერიკალური გამოვიდა. სადაც ერთი ყვიროდა „გაუმარჯოს დებს!! ძირს კომბი"-ო, ათასი ხმა პასუხს აძლევდა: „გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს კომბს, ძირს სკუფია"-ო. რამდენჯერმე რესპუბლიკელებმა წინ გარეკეს კლერიკალები. ოთხის ნახევარზე ცხარე შეტაკება მოხდა სტრასბურგის ძეგლთან, მოედანზე, მაგრამ კლერიკალები მალე წინ იფრინეს სოციალისტებმა. ხუთი მინუტის შემდეგ კლერიკალებმა ბრძოლის ველი სრულებით დასტოვეს, მათი მოწინააღმდეგენი კი ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ლუბეს! გაუმარჯოს კომბსა!" და მღეროდნენ „კარმანიოლს" და „ინტერნასიონალის". მათ წინ მიუძღვოდა ყმაწვილი კაცი, რომელსაც ჯოხზე მღვდლის სკუფია ჩამოეცვა. ის ქალებიც, რომელთაც გამოიწვიეს მანიფესტაცია, რასაკვირველია, გაჰქრნენ; ისინი, თქმა არ უნდა, ბრბოში არ გარეულან. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და მასხარაობდა კლერიკალების დამარცხებაზე.

ყველა გაზეთები ერთ ხმად ამკიცებენ, რომ ეს ნამდვილი დამარცხება იყო კლერიკალების დემონსტრაციისა. თვით „გოლუა" აღიარებს, რომ მანიფესტაცია სოციალისტების კონტრ-მანიფესტაციად გადაიქცაო. გაზეთი პოლიციას აბრალებს, მაგრამ ავიწყდება, რომ პოლიციამ დიდი სამსახური გაუწია კლერიკალებს: მას რომ არ დაეფარა, ბევრი არისტოკრატი დაბრუნდებოდა სახლში თავ-პირ დამტვრეული. სხვათა შორის, პოლიციამ თავის დროზე დაიჭირა ოთხი კლერიკალური დეპუტატი და მათ შორის გრაფი დე-მენი, რომელთაც ცუდ დღეს დააყენებდა გაბრაზებული ხალხი. რადიკალური გაზეთები კმაყოფილნი არიან, რომ პარიზმა თავი არ შეირცხვინა და ძველებურად ისევ ანტი-კლერიკალური და რესპუბლიკელი გამოდგა. „ლანტერნი" სწერს: „კლერიკალურ აგიტაციამ სული დალია ქუჩაში; ის მოჰკლეს რესპუბლიკელებმა კვირას". „პტიტ რესპუბლიკი" მადლობას უხდის კლერიკალებს, რომ მათი წყალობით უდიდესი რესპუბლიკანური მანიფესტაცია მოხდა. რაც შეეხება ორ-პირ „ტან"-ს, მისი აზრით მანიფესტაცია საჭირო იყო, რადგან „მთავრობის განკარგულება რომ მორჩილებით მიეღოთ, იაკობინელი—ანტიკლერიკალები იმ დასკვნას გამოიყვანდნენ, რომ მათ ყველაფერის ნება აქვთ და წინ ვერავინ აღუდგებაო. საფრანგეთის საზოგადოება ძალიან გულგრილად ეკიდება იმას, რომ მთავრობა უფლებას გადადის და ჩვენ თავისუფლებას ზღუდავსო". მაგრამ დემონსტრაციის გამეორებას კი მაინც აღარ ურჩევს კლერიკალებს. კონსერვატორებს არა აქვთ ამის უნარი და მოხერხებაო. მხოლოდ სოციალისტებს, რადგან მათ აქვთ დიდი გამოცდილება, მემკვიდრეობითი ტრადიცია და რადგან თავს არ შეიწუხებენ იარაღის არჩევანში, მხოლოდ მათ შეუძლიათ ქუჩაში პატარა ომების გამართვა და პოლიციის მაგრა დახვედრაო. ჯერ პოლიციაც რომ მათ მხარეს ყოფილიყო, მაშინაც საეჭვო იყო არა-სოციალისტების გამარჯვება, თორემ, როცა მათ ეს მომხრე აკლდათ, დამარცხება ცხადი იყოო.

კლერიკალებმა ერხელ კიდევ წააგეს საქმე. არც გასაოცარია.

ახალი ამბავი

✦ როგორც გვატყობინებენ, უწმ. სინოდს ცოტაოდენის ცვლილებით დაუმტკიცებია საქართველოს სამრევლო-საეკლესიო სკოლათა საბჭოს მიერ შედგენილი გეგმა, თუ როგორ უნდა მოეწყოს სწავლა **საქართველოს სამრევლო სკოლებში.** შინაარსს ამ გარდაწყვეტილებისას თავის დროზე დაწვრილებით ვაცნობებთ მკითხველებს.

✦ ტფილისის საზოგადო განათლების კურსების ინიციატორებს შეუმუშავებიათ **პროექტი დებულებისა** ამ კურსების შესახებ. დებულებით, კურსებს შემდეგშიაც ისეთი ხასიათი ექმნება, როგორც აქამდე ჰქონდა, ე. ი. ცოდნა უნდა შესძინოს იმათ, ვისაც საშუალო განათლება არ მიუღია. აზრადა აქვთ, როდესაც ფულს იშოვნიან, კურსებისათვის საკუთარი სადგომი შეიძინონ.

✦ ამ დღეებში ტფილისის მთავარ საპყრობილეს (კრწანისში) **ეკკლესია გაუქურდნიათ.** ეს ეკკლესია საპატიმროს ეზოს შუაშია. ბოროტ-განმზრახველთ გასტეხეს კლიტე, მოიპარეს ფული და საეკლესიო სამკაულის ნაწილი. ჯერ-ჯერობით ბოროტ-განმზრახველნი ვერ აღმოაჩინეს, თუმცა მოპარულ ნივთების ნაწილი იპოვნეს. ქურდებს ეს ნივთები დაემალათ საპყრობილეს გამგის ეტლში, რომელიც გარედა მდგარა.

✦ სამშაბათს, 23 ივლისს, ტფ. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ენფიანჯიანცმა გამგეობას წარუდგინა მთელი მასალა იმისა, თუ როგორის პირობებით უნდა მოეწყოს ტფილისში **ელექტრონით მმოძრავი ტრამვაი.** გამგეობამ განიხილა მთელი ეს მასალა და გარდასწყვიტა ამ დღეებში წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას განსახილველ-დასამტკიცებლად ტფილისში ელექტრონის ტრამვაის მოწყობის პროექტი.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის ბ-ნ მკდველიევის განკარგულებით, ამ დღეებში შეუდგნენ **ტფ. ბოტანიკურ ბაღის** ზემო ნაწილში იმ შენობის აგებას, რომელიც დანიშნულია საბოტანიკო ბაღის დირექტორისა, მისის თანაშემწისა და სხვა მოხელე-მოსამსახურეთა ბინისათვის. ამ შენობისათვის სამინისტროსაგან გადადებულია 15000 მანეთი.

✦ თავ. ზაქ. ერისთავის მიერ შეწირულ **ომისის მამულის** დასამუშავებლად და იქ საჭირო შენობათა ასაგებად შარშან მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასდვა 5,000 მან; ამ დღეებში სამინისტრომ შეატყობინა კავკასიაში თავის რწმუნებულს, რომ აღნიშნულ მამულში ზოგიერთ სამუშევრების დასამთავრებლად და მოსწავლე მუშების სადგომის ასაშენებლად გადაიდო წელსაც 5000 მან.

✦ ამ დღეებში საქართველოს ექსარხოსს ალექსის დაუთვალიერებია მახათის გორაზე ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში წინასწარმეტყველ ილიას სახელობაზე აშენებულ **ეკკლესიის ნანგრევი** და ადგილი ისე მოსწონებია, რომ სურვილი გამოუთქვამს ეკკლესიის განახლების შესახებ; ეს ეკკლესია მე-18 საუკუნეში დაუნგრევია საქართველოში შემოსეულ მტერს. ადგილი შეძენილი ჰქონია ტფილისის მცხოვრებს კ. ა. ხალზოვს, რომელსაც, როცა გაუგია ექსარხოსის სურვილი, შეუდგენია გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა აღნიშნულ ეკკლესიის გასაახლებლად და გამოუცხადებია ექსარხოსისათვის, რომ თავის ხარჯით განაახლებს აღნიშნულ ეკკლესიას.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის მაზრის სოფლებ კსანირისა, ქოთეშისა და სარკინეთის მცხოვრებთა შინაურ საქონელს **ჭირი** გასჩენია. აღნიშნულ სოფლებში თითქმის ათ სულამდე ჭირიანი საქონელი გაუწყვეტიათ ბეითლებს. სამაზრო ადმინისტრაციამ აცნობა ეს ამბავი მოსაზღვრე მაზრის უფროსებს და თავის მხრით განკარგულება მოახდინა, ყოველივე საშუალება იქმნეს ხმარებული ჭირის გავრცელების წინააღმდეგ.

✦ ტფილისის მაზრის, ყარაიაზის ნაწილში, არხამენის მინდორს 16 ივლისს, დილის 8 საათზე, **ცეცხლი მოჰკიდებია.** ცეცხლი ქარისაგან ისე გაძლიერებულა, რომ დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3-საათამდე გაგრძელებულა და გადამწვარა სულ 50 დესეტინა ადგილი. კიდევ კარგი, რომ ამ დღეს ნაშუადღევის 3 საათზე წვიმა მოსულა და ჩაუქვრია ცეცხლი, თორემ შესაძლებელი იყო ცეცხლი შორს წასულიყო და დიდი ზარალი მიეყენებინა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის. გამოძიება სწარმოებს.

✦ დღეს, 24 ივლისს, საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს **კრება მოხდება.** კრებამ უნდა განიხილოს ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი საბოლოო საარჩევნო სიები. როდესაც საკრებულო განიხილავს და შეასწორებს, ეს სიები გამოქვეყნებულთ იქნება.

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ამშენებელ განყოფილებას აზრადა აქვს მომავალ წლიდან შეუდგეს **ტფილისის გუბერნიაში გზა-ტკეცილების შეკეთებასა** და ახალის გზების გაყვანას. პირველად მუშაობას შეუდგებიან დასახლებულ ადგილებში, რომელნიც უფრო საჭიროებენ გზებს.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ გომბორში ერთი ამხანაგობა შეუდგა ნავთის კვლევა-ძიებასაო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, **ნავთი უკვე აღმოუჩენიათ.**

✦ გზათა სამინისტროს წინაშე კერძო კაცებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ბაქოს გუბერნიაში სოფელ საბუნჩასა და ბრაილოვს შუა ელექტრონის **რკინის გზა გაიყვანონ.**

✦ 11 ივლისს ხარკოვში გარდაცვლილა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი **ი. ი. ობლოვცევი.**

✦ გუბერნიის მკურნალი **ქიქოძე გორის მაზრაში** წავიდა სასოფლო სამკურნალოებისა და სასოფლო აფთიაქების დასათვალიერებლად.

✦ სატყეო დეპარტამენტმა სახელმწიფო ტყების დასაცველად საჭიროდ სცნო, რომ ტყის გამგეებმა, იმათმა თანაშემწეებმა, კონდუქტორებმა და დარაჯებმა იცხოვრონ უეჭველად შიგ ტყეებშივე ან მახლობლად მდებარე დაბა-სოფლებში. რადგანაც სოფლებში ყოველთვის არ მოიპოვება შესაფერი შენობა ტყის გამგეთა და იმათ კანცელარიისათვის, დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობებს წარუდგინონ თავისი აზრი საკუთარ შენობების აგების შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა საბჭოს ყველა კომისიის სახელმძღვანელოდ **ერთი საზოგადო ინსტრუქცია.** დღემდე კომისიები უინსტრუქციოდ მოქმედებდნენ, ხშირად უთანხმოება ვარდებოდა კომისიებსა და გამგეობის შორის, რის გამო საქმე ფერხდებოდა.

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ამშენებელმა განყოფილებამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას იზრუნოს და ჩქარა განიხილოს ერთის მცხოვრების მიერ წარდგენილი პროექტი დიდის ხევის უსუფთაობის არხის გაყვანის შესახებ.

✦ ბაქოში, როგორც ადგილობრივმა ქალაქის გამგეობამ აცნობა ტფილისისას, შემდეგი ნიხრი ყოფილა ხორცისა: პირველ ხარისხისა—11 კაპეიკად არის, მეორესი—10 კაპ.; ტფილისში კი პირველის ხარისხის ხორცი დღემდე 12 კაპეიკია. ნიხრის სიდიდით ტფილისს პირველი ადგილი უჭირავს მთელს კავკასიაში.

✦ ტფილისის მაზრის ერთს სოფელში გიორგი თაიროვის ტყის მცველებს სულეიმან-სოგონ-ოღლის და აბდულ აბდურახმან-ოღლის მოუპარავთ ტფილისის მოქალაქის ზაქარია მარტიროზოვისათვის 160 მან. ღირებული უღელი ხარი და სადღაც გადამალულან. იმათ გამოსდგომია დარაჯი ნიკოლოოზ კუპატაშვილი სხვებთან ერთად; ქურდებს ტყეში დასწევიან. აბდულ აბდურახმან-ოღლის დაუმიზნია ბერდანკა და პირ-და-პირ კუპატაშვილისათვის უსროლია, მაგრამ ტყვია ასცდენია. ახლა თითონ დაუწყია სროლა. ქურდებს ხარები მიუტოვებიათ და გაქცეულან. ქურდების დასაჭერად ზომებია მიღებული.

✦ ტფ. პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, საჩქაროდ გაიგზავნოს ქალაქის არქიტექტორი წყნეთის ქუჩაზე სამსონ მახათაძის სახლის შესამოწმებლად.

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის" მე-1873 ნომრის „ახალ-ამბავში" შეცდომით დაბეჭდილია: „მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის განმაახლებელ კომიტეტს დღემდე 931000 მანეთი შეუკრებია", უნდა იყოს: „93,000 მანეთი შეუკრებია" და სხვა.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის მცხოვრებთა მამულების ხელ-ახალი შეფასება, ამ თვის 26 რიცხვიდან შეუდგება თავის მოქმედებას.

✦ მოგზაურ სტუდენტებს, რომლებიც პროფესორს პეტრიაშვილთან ერთად ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, მხატვარ მრევლიშვილისაგან შეუძენიათ ორი სურათი და მოგზაურობის სამახსოვროდ პროფესორისათვის მიურთმევიათ. ერთი სურათია მუშას ტიპი და მეორე—სოფლის უბრალო ქალი. სურათებზე ზედ-წარწერაა: „ძვირფასს პროფესორ-ამხანაგს ვ. მ. პეტრიაშვილს, 1902 წლის მოგზაურობის სახსოვრადაა“.

სტუდენტებს არც პატივცემული მეუღლე პროფესორისა დაუვიწყნიათ და იმისთვისაც უყიდნიათ ორი სურათი—მშვენიერი ყვავილებია დახატული.

ეს სურათები აქედან 18 ამა თვეს წაიღეს ბორჯომს, სადაც ბ-ნ პეტრიაშვილს მიართმევენ.

✦ ცეცხლისაგან დამზღვევლ საურთიერთო საზოგადოების საგანგებო კრება, რომელიც 21 ივლისს იყო დანიშნული, არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა. როგორც მკითხველებმა იციან, ამ კრებას უნდა განეხილა ქალაქის შუამდგომლობა სათადარიგო თანხიდან 10,000 მანეთის სესხის გამოტანის შესახებ. კრება სხვა დროისათვის გადაიდვა; წევრებს მოსაწვევი ბარათები გაეგზავნებათ.

✦ თავის დროზე ჩვენ დავბეჭდეთ, რომ ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ბანკში სამინისტროსაგან გამოგზავნილმა მოხელეებმა რევიზია მოახდინეს. ამ მოხელეების მიერ წარდგენილი ანგარიში ბანკის მდგომარეობის შესახებ სამინისტროს უცნობებია. ეხლა, როგორც გვითხრეს, ბანკის გამგეობამ წევრთა საგანგებო კრება უნდა მოახდინოს, და გააცნოს სამინისტროსაგან მომხდარ რევიზიის შედეგი.

✦ 19 ივლისს, ერთი კერძო კაცისა და პოლიციის შემწეობით, აღმოაჩინეს მთელი ბრბო პატარა ქურდ-ბაცაცებისა, რომელთაც თურმე აქაურ წიგნებით მოვაჭრე ვასილ ბეჟანეიშვილის მაღაზიიდან მალულად გაჰქონდათ წიგნები და სხვა-და-სხვა საკანცელარიო ნივთები. ქურდები აქაურ მკვიდრ ებრაელების შვილები—სიმონა, ილია და ისხაკ ელიგულაშვილები აღმოჩნდნენ. ზოგი ამათგანი ვ. ბეჟანეიშვილის წიგნების სამკინძველოში მუშაობს და ზოგს თავ-თავისი სამკინძველო აქვს.

ეს ებრაელები გამოტყდნენ დანაშაულობაში და გამოაცხადეს, რომ ნაქურდალს ბეჟანეიშვილის ნოქარი გვაძლევდა და ჩვენც სხვა წიგნების მაღაზიაში ვყიდდით და ფულს ვაძლევდითო.

ვ. ბეჟანეიშვილმა გამოიანგარიშა დანაკარგი და აღმოჩნდა, რომ ამ ვაჟბატონებს იანვრიდან მოუტაცებულთ არა ნაკლებ ასის თუმნისა გაუზიდნიათ საქონელი.

ქურდები პოლიციამ დაიჭირა და საქმე ამ ჟამად გამომძიებლის ხელშია.

✦ სამი-ოთხი თვეა ბალახვანის ქუჩის რემონტს შეუდგნენ, მაგრამ მის დამთავრებას არა ეშველა-რა. იმ უბნის მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან, რადგან ამ გზით მიმოსვლა მეტად გასაჭირი შეიქმნა, განსაკუთრებით ცუდ ამინდების დროს, როცა გაუვალი ტალახი დგება.

✦ 19 ივლისს მწვანე ბაზარში ჯიბგირებმა რამდენსამე სოფლელს ჯიბეები დაუცალეს. რამდენიმე კაცის გაძარცვა არ იკმარეს და ამიტომაც მახეში გაება ერთ-ერთი ჯიბგირი: იმ დროს, როცა მესამეს ამოაცალა ფული და თავის ჯიბისაკენ გააქანა, ხელი სტაცეს და გაბაწრეს. იგი აღმოჩნდა სოფელ ბანძის მცხოვრები (სენაკის მაზრა) გ. დანელია. ეს ვაჟბატონი ამისთანა საქმეში არა ერთხელ დაუჭერიათ, მაგრამ მას პოლიცია ყოველთვის უშვებდა. ასე მოხდა ამ დღესაც: პოლიციელმა გვარიანად მისთელა დანელია, ფულები ჩამოართვა, პატრონებს გადასცა და დაბეგვილი ჯიბგირი გაუშვა. როცა ჰკითხეს პოლიციელს, რატომ არ წაიყვანე პოლიციაშიო— „სულ ერთია, მაინც გაუშობენო“—პასუხად მიიღეს მკითხველებმა...

✦ ივანოვის ქუჩაზე, დამით, 20 ივლისს, გასტეხეს ი. ბრეგვაძის საბაკალეო დუქანი და წაიღეს ორას მანეთამდე სხვა-და-სხვა საქონელი: ჩაი, შაქარი, თუთუნი, პაპიროზი და სხვა. ბრეგვაძე წვრილი ცოლ-შვილის პატრონია და ცოლშვილს-პატარა ვაჭრობით ინახავდა; ეხლა-კი ცარიელ-ტარიელი დასტოვეს ღამის რაინდებმა. პოლიცია ქურდებს დაეძებს.

რუსეთის ქრონიკა

✦ როგორც „პრავ. ვესტ.“-ი გადმოგვცემს, ასტრახანის გუბერნიაში, სოფელ აქსაის ერთ მცხოვრების ოჯახში ივნისის დამლევს რაღაც გადამდები სენი გაჩენილა. ადგილობრივ ექიმებს ციმბირის ჭირი ჰგონებიათ. როდესაც სენი სხვა ოჯახებსაც მოსდებია, უფიქრიათ შავი ჭირიაო, და ბაქტეოროლოგი გაუგზავნიათ სენის გამოსარკვევად გუბერნატორის განკარგულებით, შესდგომიან ავადმყოფთა განცალკევებას და იმ სახლების დეზინფექციას, სადაც ავადმყოფნი იყვნენ. 20 ივნისიდან 18 ივლისამდე ამ სოფელში 26 კაცი გამხდარა ავად, აქედან 16 მომკვდარა.

✦ „ტორგოვო-პრომ. გაზ“. სწერს: ბაქოს ნავთის მწარმოებელთ აზრადა ჰქონდათ შეერთება და კავშირის დაარსება ამერიკელ ნავთის მწარმოებლებთან საბრძოლველად. მაგრამ ეხლა, როგორც ლონდონიდან გვატყობინებენ, ამ აზრის განხორციელება შეუძლებელი ხდება. ერთ ბაქოელ მდიდარ მწარმოებელს მოლაპარაკება აქვს ინგლისელ კაპიტალისტებთან საააქციონერო საზოგადოების დასაარსებლად. ეს საზოგადოება ნავთის ექსპორტს შეუდგება. ამ რიგად კავშირისა და შეერთების ნაცვლად ნავთის მდიდარნი მწარმოებელნი განზე იწევენ და ცალცალკე აპირობენ მოქმედებას.

✦ ფინანსთა მინისტრმა ცირკულიარი გამოსცა სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოების საგუბერნიო კომიტეტთა მიმართ. მინისტრი ამ ცირკულიარით, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამზრუნველოებთან ერთად სახალხო სიფხიზლისათვის ზრუნავენ კერძო საზოგადოებანი, ქალაქისა და საერობო დაწესებულებანი, ავალებს კომიტეტების თავმჯდომარეებს, ეცადნენ ქალაქის თვით-მმართველობებმა და საერობო დაწესებულებებმა მეტი მხნეობა და მეცადინეობა გამოიჩინონ სახალხო სიფხიზლის საქმისათვის, დააარსონ სახალხო აუდიტორიები და თეატრები, უფასო წიგნთა-საცავები და სამკითხველოები, გამართონ წიგნის საწყობები, საკვირაო სკოლები, კითხვები, სეირნობანი და სხვანი. სამზრუნველოებმა ხსენებულ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს, მინისტრის დავალებით, უნდა აღმოუჩინონ ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება.

✦ როგორც ვუწყით, დღე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე რკინის გზაზე უბედურება არ მოხდეს. გზათა სამინისტროში სდგება კომისია, რომელმაც ღონის ძიებანი უნდა გამოსძებნოს ამ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. სხვათა შორის, კომისია პრემიას დანიშნავს იმათ დასაჯილდოვებლად, ვინც უბედურების თავიდან ასაცილებელ მანქანას ან სხვა რამ მოწყობილებას გამოიგონებს.

✦ ბურთა შესანიშნავი გენერალი დევეტი, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ევროპაში მიდის. სხვათა შორის, დევეტი პეტერბურგსაც ინახულებს.

✦ უმაღლესის ბრძანებით ფინლიანდიაში პოლიციელთა და სამოქალაქო მოხელეთათვის ტანისამოსის ისეთივე ფორმა იქმნა შემოღებული, როგორიც რუსეთშია.

✦ საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს შეიმუშაოს საზოგადო დებულება საზოგადო განათლების კურსებისათვის.

✦ უცხო-ქვეყნების სამთო-სამადნო ნაწარმოების შემოტანა რუსეთში თან-და-თან კლებულობს. 1901 წელს სამთო-სამადნო ნაწარმოები 235,9 მილიონი მანეთისა იქმნა შემოტანილი, ხოლო 1900 წელს—291,3 მილიონ მანეთისა.

✦ საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი დებულებისა რკინის გზაზე მოსამსახურეთა შესახებ. ეს დებულება 70 ათას კაცს ეხება. დღემდე სახელმწიფო სამსახურში ითვლებოდნენ მხოლოდ ინჟენერები და გზათა სამინისტროს მოხელენი, დანარჩენი დაქირავებულ მოსამსახურეებად ითვლებოდნენ. ახალის დებულებით აგენტებიც სახელმწიფო სამსახურის უფლებებს მიიღებენ.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა გადაკეთოს ეკატერინოსლავის უმაღლესი სამთო სასწავლებელი სამთო ინსტიტუტად და გახსნას ამ ინსტიტუტში ორი დამატებითი კურსი. სამინისტრომ ამასთანავე გადასწყვიტა სწავლის ფასი ის დასტოვოს, რაც წინად იყო.

პრესსა

გაზეთი „ვოლინი“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნოქრების მდგომარეობის კულტურულად გაუმჯობესობა დღეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან მათ სრულებით არა აქვთ თავისუფალი დროო.

მწარე ირონია და დაცინვაა, როდესაც ნოქრების ცხოვრების გაუმჯობესობა გვინდა საურთიერთო საზოგადოების და ბიბლიოთეკის დაარსებით! ნეტავ ვინ ივლის ბიბლიოთეკაში? ნუ თუ ვისმე ჰგონია, რომ 17—19 საათის შეუწყვეტელის მუშაობის შემდეგ ნოქარი წავა ბიბლიოთეკაში, რომ იქ ეძიოს გონებრივი საზრდო? სწორედ ვინც ამას ჰფიქრობს, მას დედამიწაზე არ უდგია ფეხი და ნამდვილ ცხოვრებასთან გაუწყვეტია კავშირი. ბატონებო, ვიდრე ბიბლიოთეკაზე დაიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროა, რომ ნოქრებისათვის უზრუნველ ყოფილი იყოს 11 საათიანი სამუშაო დღე.

დღეს ნოქარს იმის დროც არა აქვს, რომ ხეირიანად გამოიძინოს და რა გასაკვირველია, რომ განუვითარებელი და მოკლებულია გარეგნულს სიცოცხლეს და ლაზათსაც. ეს გამოიხატება მის მუშაობაშიაც. რამდენად საცოდავია ნოქრების ცხოვრება, ამაზე ლაპარაკიც მეტია.

მაღაზიებსა და დუქნებში წესიერება არ არის დამყარებული, ესენი არ ემორჩილებიან არც პოლიციას და არც საფაბრიკო ინსპექციას, და სამუშაო დროის განსაზღვრა დამოკიდებულია მხოლოდ მაღაზიების და დუქნების პატრონებისაგან. მაგრამ ამათი საკუთარი ინტერესები იმდენად ეთანხმება ნოქრების ინტერესებს, რომ მარტო უაზრობისა და გაუგებრობის ბრალია ასეთი უმიზნო და უგულო ექსპლოატაცია ნოქრებისა, რომლებიც დღეს უდროოდ იღუპებიან შესაზარ პირობებში...

⁂

ტფილისში გუშინ მიღებულ ჟურნალ „რუსკაია მისლ“-ის მეშვიდე №-ში დაბეჭდილია წერილი მეტად საყურადღებო საკითხის შესახებ „გადასახადთა რეფორმის გამო კავკასიაში 1900 წლის 12 ივნისის კანონის მიხედვით“. წერილი ეკუთვნის ბ. ივ. ვერეტენნიკოვს და, რასაკვირველია, საყურადღებოა ვიცოდეთ ასეთ ავტორიტეტულ მოხელეს აზრი გადასახადთა რეფორმის შესახებ. წერილი სამ საგანს შეეხება: 1) გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას რეფორმის წინად; 2) გადასახადთა რეფორმის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის გლეხობისათვის და 3) ტფ. გუბერნიის გლეხთა საზოგადოებების სამეურნეო თანხებს. წერილის შინაარსს მალე გავაცნობთ მკითხველთ.

⁂

„პეტერბ. ვედომ.“-ს სწერენ ტფილისის გუბერნიიდან:

საცოდავ სურათს წარმოადგენს ამიერ კავკასიელ უადგილ-მამულო გლეხთა ცხოვრება. მიწა ცოტაა, მცხოვრებთა რიცხვი მრავლდება, ხოლო წლით-წლობით უმატებენ საიჯარო ფასს. გლეხებს საჭმელი არა აქვთ და ღმერთმა უწყის, რით იკვებებიან. ხორბალს არა ჰწმენდავენ და არ ასუფთავებენ სხვა-და-სხვა მცენარის თესლისაგან; საცერს უმეტეს ნაწილად არა ჰხმარობენ. უნდა ჰნახოთ გამომცხვარი პური, საიდანაც ჩალა გამოიყურება, ვერ იცნობთ, რა ფქვილისაგან არის გამომცხვარი იგი. აი ეს პური, წყალი და მარილია ამიერ-კავკასიელ უადგილ-მამულო გლეხთა ერთად-ერთი საკვები. გაზაფხულზე, როდესაც ყველგან ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში, უადგილ-მამულო გლეხთ საკვები აკლდებათ, პურის ადგილს იჭერს სხვა-და-სხვა უვნებელი მცენარე. საკმაოა მცენარე უვნებელი იყოს, რომ გლეხმა საკვებად გაიხადოს. ზოგ მცენარეს არა ჰხარშავენ, ზოგს კი ჰხარშავენ, ჰკეპავენ და მერე ისევ ჰხარშავენ. ამ რიგად მომზადებულ სითხეს უშვრებიან ხახვს, ნიორს, ხოლო უფრო შეძლებულნი—ერბოსაც, და მერე შეექცევიან. რაც შეეხება ხორცს, მხოლოდ შეძლებული გლეხი თუ იგემებს მთელის წლის განმავლობაში 2—3 გირვანქას, თორემ უმრავლესობა თვალითაც ვერა ჰხედავს. რასაკვირველია, გლეხებსა ჰყავთ წვრილ-ფეხა და მსხვილ-ფეხა საქონელი, ქათმები, იხვები და სხვა, მაგრამ ვინ გაიმეტებს საჭმელად? ყოველ ქათამსა და იხვს თავისი დანიშნულება აქვს: ამ ფულით უნდა გაისტუმროს გლეხმა გადასახადი, იყიდოს პერანგი ან სხვა რამე. წამ-და-უწუმ ჰხედავთ დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გამოწყობილ, ფეხ-შიშველა გლეხებს. ამას კი გავლენა აქვს ჯანმრთელობასა და მოქმედებაზე: გლეხი ჰკარგავს მხნეობას, იღლება, სიცოცხლე აკლდება.

განსაკუთრებით ამ ბოლოს დროს გაუჭირდათ ცხოვრება უადგილ-მამულო გლეხებს. მემამულენი ერთმანეთს ეჯიბრებიან ტკბილ და ფუფუნებით ცხოვრებაში, ამიტომ რაც დრო და ხანი გადის, მით უფრო საჭიროობენ ფულს. ხოლო რადგანაც ამიერ-კავკასიელი მემამულენი (უმრავლესობა წერა-კითხვის არ მცოდნეა) თაკილობენ მუშაობას, ამიტომ მიწის შემოსავალი იმათ ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს შეადგენს. ამ ნიადაგზე უფრო და უფრო მწვავდება ურთიერთობა მებატონეთა და გლეხთა შორის. საოცრად უმატებენ საიჯარო ფასს, ტყის ფულს. სხვას, და გლეხიც უფრო და უფრო ღარიბდება, უფრო და უფრო უჭმელი რჩება.

როდესაც მემამულეს საიჯარო ფასის მომატება უნდა, ეუბნება გლეხებს: „თუ ყოველ წლივ ამდენსა და ამდენს მომიმატებთ, დარჩით ჩემს ადგილზე, თუ არა და საცა გინდათ, იქ გადასახლდითო.“ მემამულეს, რასაკვირველია, არ უნდა გლეხთა გადასახლება, მაგრამ ასე იმიტომ ამბობს, რომ კარგად იცის, ვერსად გადასახლდებიან. ასეთ გარემოებაში გლეხი ყველაფერზე თანხმდება, რასაც საოცარი სიღარიბე და სასოწარკვეთილება მოსდევს.

ბევრი მემამულე ეუბნება გლეხებს, იყიდეთ ჩემი ადგილებიო. ერთად-ერთი საშუალება იმისა, რომ გლეხმა თავი დააძვრინოს შევიწროვებას და ასე თუ ისე კუჭიც გაიძღოს—მამულების გამოსყიდვაა. მაგრამ გლეხებს შეძლება არა აქვთ, რომ მამულის ფასი ერთად გადაიხადონ, ამიტომ იჯარაზე უფრო ძნელ პირობებს უდებენ მემამულენი. დიდ შეღავათს გაუწევდა გლეხობას გლეხთა საადგილ-მამულო ბანკი. ხმა დადის ამ ბოლოს დროს, რომ ამ ბანკის განყოფილება ტფილისში არსდებაო. დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ეს პროექტი.

ღია წერილი ქართველ ექიმთა მიმართ

ქართველობაში დღეს გონებრივ სიბნელესთან ერთად, სიღატაკეც გამეფებულა. სწორედ ამიტომ ბედმაც ასე სასტიკად დასცინა ქართველობას და გუშინდელი ბატონები დღეს მონებად გადააქცია! კავკასიელ ერების ძმობასა და ერთობაზე დიდი ლაპარაკია მაშინ, როდესაც ჩვენ, ქართველებს, შესაფერისად საზოგადო და საერთო საქმეში ვერ გამოგვიჩენია ვერც ძმობა და ვერც ერთობა. რადა? უფრო იმიტომ, რომ ერთმანეთის დაცინვა, შური, დევნა, კინკლაობა და ბევრი ამაზე უარესიც ხელობად გვაქვს გადაქცეული და ამის შემდეგ, განა გასაკვირველია, რომ ჩვენი კულტურული ზრდა და განვითარება შეფერხდეს?

აუცილებლად საჭიროა, უპირველესს ყოვლისა, რომ ჩვენ შორის დამყარდეს მტკიცე ერთობა; ამერ-იმერ ქართველთ ჰმართებთ მჭიდრო და შეურყეველი კავშირი იქონიონ ურთიერთ-შორის, თუ გვინდა, რომ საუკეთესო მომავალის იმედი ვიქონიოთ.

ასეთ გაერთიანების საშუალებად, სხვათა შორის, მიგვაჩნია სხვა-და-სხვაგვარ საზოგადოების დაარსება-გამრავლება ამერ-იმერ ქართველთა მონაწილეობით. მოგმართავთ თქვენ, პატივცემულნო ამხანაგნო, რათა გამოსთქვათ თქვენი აზრი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „ქართველ ექიმთა საზოგადოების“ დაარსების შესახებ.

ამ საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრად ექმნება: 1) ქართულ საექიმო ჟურნალის გამოცემა; თუ ეს შესაძლებელი არ იქნება, გამოცემა საზოგადოების ხარჯით სახალხოდ სამეცნიერო საექიმო წიგნებისა; 2) კერძო სამკურნალოების დაარსება, როგორც ქალაქებსა, ისე სოფლებში; 3) გზავნა ქართველ ახალგაზდა ექიმებისა საზოგადოების ხარჯით საზღვარ-გარედ სპეციალიზაციისათვის; ეს ექიმები, დადებულ პირობისამებრ, ვალდებულნი იქნებიან ემსახურონ საზოგადოებას; 4) ქონებრივი დახმარება იმ ექიმებისა და იმათ ოჯახებისა, რომელთაც, რაიმე უბედურ შემთხვევის გამო, აღარ შეეძლებათ თავიანთ თავის შენახვა და გამოკვება.

რასაკვირველია, თუ კი საზოგადოება დაარსდა, როგორც საგანი, ისე სამოქმედო ასპარეზი უმრავლესობის სურვილისამებრ გადასწყდება. ჩვენი სურვილია, საზოგადოებაში მიიღონ მონაწილეობა აგრეთვე ქართველმა კბილის ექიმებმა და მეაფთიაქე ფარმაცევტებმაც. საქმე ის არის, რამდენად ბევრი თანამგრძნობელი აღმოჩნდება ქართველ ექიმთა შორის საზოგადოების დასაარსებლად და რა დახმარებას აღმოუჩენს უმრავლესობა, როდესაც შეიტყობს ქართველ ექიმთა აზრს. როდესაც ასეთი თანამგრძნობელნი აღმოჩნდებიან, უნდა დავნიშნოთ კრება, რასაც გამოვაცხადებთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და მერე შევუდგებით კიდეც საქმის განხორციელებას. კრებას წარედგინება მოხსენება, საიდანაც ყველა გაიგებს, რა მხრივ უფრო სასურველია ზემორე აღნიშნულ საზოგადოების დაარსება.

თქვენი პატივის-მცემელი **კონსტანტინე ლაზარეს ძე ჟურიაშვილი**

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ, ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში ოზურგეთის ნოქრების იმ წერილის პასუხად, რომელიც დაისტამბა გაზ. „ცნობის ფურცლის“ მე 1862 ნომერში. მართალია, ოზურგეთის ნოქრებმა ამა წლის 31 მაისს მომმართეს განცხადებით, რომელშიაც თხოულობდნენ, რომ ქალაქის რწმუნებულებს შეედგინათ სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც კვირა-უქმე დღეებში დუქნები ნოქრების მიერ დანიშნულ დროზე დაკეტილიყო, მაგრამ მათი თხოვნა არ წარმიდგენია რწმუნებულთა სხდომისთვის, რადგან მათი თხოვნა სრულებით არ ექვემდებარება ქალაქის რწმუნებულთა საბჭოს (განმარტება შინაგან საქმეთა მინისტრისა 7 იანვრიდან 1894 წ. № 55). გარდა ამისა, არც შესაძლებელი იყო შეტანილიყო სხდომაზე, რადგან მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო მორიგი სხდომა, რომელზედაც განსახილველად საკმაო რიცხვი საქმეებისა იყო დანიშნული. ძალიან მაკვირვებს სიმართლეს მოკლებული წერილი ბ-ნთ ნოქრებისა; სწერენ, რომ სამჯერ მოხდა სხდომაო, რომ ვითომ პირადის ინტერესებისა გამო არ შემეტანოს თხოვნა გასარჩევად. ეხლა ვუცხადებ ბ-ნთ ნოქრებს, რომ მათი თხოვნა ჩემ მიერ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული, თანახმად ზემოდ მოყვანილ შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებისა, და შეუძლიათ ამიტომ გაასაჩივრონ ჩემი მოქმედება.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი **დ. ცეცხლაძე**

დაბა-სოფლები

ქვიტირი (ქუთაისის მაზრა). ქუთაისის მახლობლად მდებარე საზოგადოებებს შორის ქვიტირის საზოგადოება ერთი საუკეთესოთაგანია, როგორც ნიადაგით, ისე ჰავით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის მაინც ყველას გაეგონება, რომ ქვიტირის საზოგადოებას მებაღეობასა და მებოსტნეობაში ბადალი არა ჰყავს მთელს იმერეთში. ამას ხელს უწყობს ქალაქის სიახლოვე (ხუთ ვერსზე მდებარეობს ქალაქიდან); ასე რომ—მცხოვრებთ შეუძლიათ ყოველგვარი ჭირნახული დილას შემოიტანონ ქუთაისში, დროზე გაჰყიდონ და სოფელში სამუშაოს მაინც არ მოსცდენ. თითქმის ამგვარსავე პირობებშია ფარცხანაყნევის საზოგადოებაც, მხოლოდ იმას ერთი გარემოება უშლის ხელს, სახელდობრ ის, რომ ქალაქიდან თექვსმეტის ვერსითაა დაშორებული.

იქმნება იფიქროს ვინმემ, ასეთ პირობებში მყოფ სოფლების სიმდიდრე უნდა სდუღდეს და გადმოდიოდესო, მაგრამ არა—ეს სოფლები ნივთიერად უფრო ღარიბ სოფლების კატეგორიას ეკუთვნიან, ვიდრე მდიდრებისას. ამ სიღარიბის ერთი უპირველესი მიზეზი სარწყავ წყალის უქონლობაა, რომელსაც სასოფლო მეურნეობაში პირველი ადგილი უჭირავს. მართალია, ამ საზოგადოებებში საკმაოდაა ჭები, რომლებშიაც საუკეთესო ღირსების წყალია, მაგრამ რადგან ნიადაგი ქვისაა, ხუთი-ექვსის საჟენის სიღრმეზე საკუთარ ჭის გათხრა ხელმოკლე გლეხს ძლიერ უძნელდება, ამიტომ რამდენსამე მოსახლეს, ზოგან მთელს უბანს, ერთი საზიარო ჭა აქვთ. უნდა უყუროთ, რა ამბავი ხდება ამ ჭებთან ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, როდესაც შუადღისას მთელის უბნის წყურვილისაგან გახელებული საქონელი ბღავილითა და ხვიხვინით მიეშურება ჭისაკენ გულის გასაგრილებლად. შეიქმნება ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური. მაგრამ ამ უტყვ ცხოველთ არც ის მეტყველი ცხოველები ჩამორჩებიან, რომელნიც ჭას ირგვლივ შემოხვევიან და წყლის ამოღებაში ერთმანეთს ეცილებიან. გაისმის ყოვლის მხრიდან ვედროებისა და დოქების ჭახა-ჭუხი. შეკრებილნი ხანდისხან მუჯლუგუნებსაც სთავაზობენ ხოლმე ერთმანეთს.

ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს: ასე იქმნება, თუ ისე, წყურვილით არც ხალხი დაიხოცება და არც საქონელი; მაგრამ რა ჰქმნან იმ საზოგადოებებმა, რომელნიც განსაკუთრებით მებაღეობა-მებოსტნეობას მისდევენ და სარწყავი წყალი კი ერთი წვეთი არა აქვთ? ხშირად მოსავალს მშვენიერი პირი უჩანს და ყველა შველასა და ხსნას მოელის, მაგრამ დადგება გვალვა, თორნესავით გაახურებს იმ რიყის ქვას, რომლითაც მოგებულია ნიადაგი, და ჩასწვავს და ჩახრაკავს მთელს ჭირნახულს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ აღნიშნულ სოფლებში წისქვილის მეტისმეტი სიძვირეა; ხშირად ორ-სამ ბათმან სიმინდის დასაფქვავად ერთი და ხშირად ორი დღეც უნდა მოცდეს კაცი მუშაობას.

აი, ამ უბედურებას ხსენებული საზოგადოებანი რომ თავიდან აიცილებდნენ, მერე აღარაფერი გაუჭირდებათ. ამ ათიოდე წლის წინად განსვენებულმა ლ. ნ. ასათიანმა ლაპარაკი აღძრა რიონიდან ტოტის გადაყვანის შესახებ; შეჰკრიბა საზოგადოება ქვიტირის სოფლის სასამართლოსთან და აუხსნა მას საქმის გარემოება. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ სოფლის ერთობის ამბავი: თუ ერთმა გაუოუჩებულმა კაცმა დაიძახა „მეე“-ო, სხვებიც მას მიჰყვებიან. გამოჩნდა ორი-სამი გავლენიანი კაცი, რომელთაც საკუთარი ინტერესები უფრო აწუხებდათ, მათ სხვებიც შეიმხრეს და ბოლოს ყველამ მოინდომა წყალს უთუოდ იმის ეზოში გაევლო, რომ სარწყავადაც ჰქონოდა და წისქვილიც იქვე გაეკეთებინა. რადგანაც ერთნაირად დაკმაყოფილება ყველასი შეუძლებელი იყო, წყლის გამოყვანაც შეჩერდა. ასათიანი მაინც არა სტოვებდა ამ საქმეს და სცდილობდა როგორმე საზოგადოების შეთანხმებას, მაგრამ ამ დროს იგი ქუთაისიდან ბათუმში გადაიყვანეს ქალაქის თავად და საქმეც მიეჩქმალა.

ეხლა, როგორც გავიგეთ, სოფლის რამდენსამე გავლენიან კაცს ხელ-ახლა აღუძრავს ეგ საქმე და საზოგადოებაც შეუთანხმებია. მათის ანგარიშით, უნდა გადაიყვანონ რიონის ტოტი ასათიანების ან მდივნების წყლის სათავიდან. ეს ტოტი ჩაუვლის ქუთაისს სამხრეთით და შემდეგ ქუთაისის დასავლეთით, ეგრედ წოდებულს „თხილარაში“, გამოვა ორპირის ქუჩის თხრილში, დაჰყვება ამ თხრილს, სანამ არ შეერთვება რიონის მეორე ტოტს, რომელიც ქვიტირისა და ფარცხანაყანევის საზოგადოებებს სამხრეთით ჩაუვლის. ახალის თხრილის გაჭრა საჭირო იქმნება მხოლოდ სამიოთხის ვერსის მანძილზე; შემდეგ კი, როდესაც წყალი ორპირის ქუჩაზე გამოვა, მხოლოდ ცოტა გაფართოვება დასჭირდება ეხლანდელ თხრილს.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ორ ისეთ დიდ საზოგადოებისათვის, როგორიც ქვიტირისა და ფარცხანაყანევისაა, ამ წყლის გაყვანა ძნელი არ იქნება. იმედია, სამაზრო ადმინისტრაცია, რომლის პირდაპირი მოვალეობაა სოფლების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს საქმის მოთავეთ და მალე დააგვირგვინებს ამ საქმეს. მით უმეტეს იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადმინისტრაციის სათავეში სდგას თავ. ჯ. თ. დადეშქელიანი, რომელიც ამგვარ საქმეებში დიდს გულმხურვალეობას იჩენს. თუ, მაგალითად, ადმინისტრაციას აღნიშნულ საზოგადოებებიდან სხვა საზოგადოებებში მიჰყავს მცხოვრებნი გზებისა, ან სხვა რისამე საკეთებლად, უეჭველია, საჭიროების დროს, სხვა საზოგადოებიდანაც წამოახმარს მუშებს ამ ორ საზოგადოებას.

დონ-ვალიანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 **ივლისი**

მოსკოვი. დღეს ყველა ეკლესიაში, აგრეთვე იმ დაწესებულებებში, რომელნიც დედოფალ იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, გარდახდილ იქმნა პარაკლისები მის უდიდებულესობის სადღეგრძელოდ.

ჩისტოპოლი. მოსავალი საშუალოა.

კიევი. სამხრეთ-რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოება შემოდგომაზედ აარსებს სკოლას კიევიდან ოცის ვერსის მანძილზე, სადაც საჭირო მიწა ხაზინამ დაუთმო.

ბელოსტოკი. დღეს დაიწყო მოქმედება მოწყალების დათა „წითელის ჯვრის“ ადგილობრივმა კომიტეტმა, რომელიც თავისს მფარველობის ქვეშ მიიღო დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა. კომიტეტთან ამბულატორიაც არსებობს. აცნობა რა ეს ამბავი ხელმწიფე იმპერატორს და უავგუსტოესს მფარველს, კომიტეტმა მათ უდიდებულესობათ გამოუცხადა მადლობის უქვეშევრდომილესი გრძნობანი.

კილი. 7½ საათზე რეველში გზად მიმავალი „ჰოგენცოლერნის“ გემით აქ მოვიდა იმპერატორი. თან ორი სხვა სამხედრო გემი ახლავს.

მარსელი. ზღვათა მინისტრმა პელტანმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მთავრობა უნდა დაადგეს რესპუბლიკელთა დასის პოლიტიკას, რომელიც რეაქციის წინააღმდეგ არის მიმართულიო. კლერიკალიზმი სამუდამო მტერია. ამ ბოლოს დროს იგი გამოვიდა როგორც დასი პატრიოტიზმის მოხოპილიით შემოსილიო. ორატორმა სიტყვა ასე დაამთავრა: „ჩვენ კანოსში არ წავალთ *) და არ დავივიწყებთ, რომ ჩვენმა მამებმა ქვეყანა ბრძოლით გამოჰგლიჯეს ხელიდან სასულიერო ლანდებს და თავისუფლება მიანიჭეს კაცობრიობასაო“.

პარიზი. საკონგრეგაციო სკოლების გაუქმების გამო მთავრობის კომისართა წინააღმდეგ მანიფესტაციები მოხდა იზერისა, დუარისა, ტარნისა და ვოკლიუზის დეპარტამენტებში და არდეშისა და რონის ოლქის ზოგიერთ ოლქებში.

ჰააგა. დღეს აქ მოვიდა დუკა მეიერი.

კონსტანტინეპოლი. სომეხთა პატრიარქმა სამსახურიდან გადადგომა მოითხოვა. მიზეზი ის არის, რომ ყურადღება არ მიაქციეს სჩივრებს, აღძრულს სომეხთა წინააღმდეგ მიმართულ პორტის ზომების გამო.

კონსტანტინეპოლი. დაინტერესებულ წრეებში ამბობენ, რომ ის ირადე, რომელიც ვალის გაერთიანების გეგმას შეეხება, არ შეიცავს არავითარ გამორიცხვას. ამბობენ, რუვიემ აღუთქვა საშუალება სესხთა კონვერსიისთვის, რის გამოც ორი მილიონი გირვანქა გადარჩება ხარჯს.

მიუნხენი. ესპანიის ქვრივმა დედოფალმა ვენაში მიმავალმა გზად გაიარა.

23 **ივლისი**

ლონდონი. დღეს მეფე დაუხმარებლად იახტაზე ავიდა

ბელგრადი. საერო კრებამ 15 ხმის უმეტესობით მიიღო სესხის პროექტი.

ვენა. აქ ჩამოვიდა ესპანიის დედოფალი ქალიშვილით და ბადენს გაემგზავრა.

იშლი. რუმინიის მეფეს აღტაცებით მიეგებნენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ო'ფლინი ეკითხება მთავრობას: „რუსეთისა და ავსტრიის მთავრობათ მოლაპარაკება დაიწყეს რეფორმების მოხდენის შესახებ; აქვს თუ არა ინგლისს განზრახვა მიემხროს რუსეთსა და ავსტრიას“. კრანბორნმა უპასუხა, რომ მთავრობას ყურადღება აქვს მიქცეული გაადვილოს რეფორმები ოსმალეთის ევროპიულ ნაწილში. მთავრობა ისარგებლებს ყოველ შესაფერის შემთხვევით და დახმარებას აღმოუჩენს სხვა სახელმწიფოთა მაცადინეობას.

ადესა. დღეს დაიწყო სრულიად რუსეთის კბილის ექიმთა კრება; თავი მოიყარა 312 კაცმა. დეპეშები გაუგზავნეს ხელმწიფე იმპერატორს, დედოფალს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს და კრების საპატიო თავმჯდომარეს პრინცს ოლდენბურგს. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პროფესორი ზავერჟკოვსკი, იმის ამხანაგად — „ზუბოვრაჩ. ვესტნიკ“-ის რედაქტორი სინიცინი. დღეს კრების წევრნი ადგილობრივ დაწესებულებებს ათვალიერებენ. მოხსენებათა განხილვა დაიწყება ხვალ.

პეტერბურგი. 22 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა „შტანდარტ“-ის იახტით პეტერგოფში ინება წაბრძანება, საიდანაც რეველში წაბრძანდება საზღვაო აღლუმებზე დასასწრებლად.— 22 ივლისს, დედოფალ იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, რადგანაც ამ დღეს ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მისი უდიდებულესობა გვარდიის ზღვაოსნების შეფად დაინიშნა, „კოტეჯის“ სასახლის ფანჯრებთან ამ ზღვაოსანთა ხორომ სერენადა შეასრულა. ზღვაოსანთა უფროსმა კონტადმირალმა აბაზამ იმათ სახელით მიართვა თაიგული და ჟეტონი გვარდიის ზღვაოსანთა—ჯვარი ბრილიანტის გვირგვინით მორთული. დიდ სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა 11 საათზე წირვა, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული შვილებითურთ.—შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა პირველი გაფრთხილება გამოუცხადოს გაზეთ „მოსკ. ვედომ.“-ის მე-197 №-ში დაბეჭდილ წერილისათვის, რომელშიაც საშუალო სკოლის რეფორმაზეა ლაპარაკი.—მ. ა. ლალანტოვს (?) და გრაფ ვ. ვ. სტენბოკ-ფერმორს უფლება მიეცათ გაიყვანონ და აწარმოვონ რკინის გზა ნევიანსკ-ალაპაევსკ-ირბიტ-ტავრს შუა, სიგრძით 316 ვერსი. თანხა 22 მილიონია, აქედან 16,500,000 მანეთი უზრუნველ-ყოფილია ოთხ-პროცენტიან ობლიგაციებით. კონცესიის ვადა 81 წელიწადია.

სახალინი (გამოგზავნილია 5 ივლისს, მიღებულია 23 ივლისს). ყოველგვარ ღონისძიებას იღებენ, რათა ხელი შეუშალონ ხოლერის გავრცელებას იაპონიისა და ჩინეთის ნავთსადგურებთან.

პურის მოსავალი და ბალახი ცუდია, რადგანაც ცივი ამინდები სდგას და გვალვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ტრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი- 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი
ტფილი გოგირდის აბანო
„ფანტაზია“
თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.
იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).
ტელეფონი № 555. წლ.—6).

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი
შ. არაგვისპირელი
წიგნი მეორე
ფასი 40 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

---

*) ე. ი. რომის პაპის არ დავემორჩილებითო.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).